

კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2022
წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება

„განათლების
განვითარების ჯგუფი“

შპს „თბილისი კონსალტინგი“

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	12
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	12
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები	12
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი	12
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	13
3.5. ანარიცხები	13
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
3.7. ძირითადი საშუალებები	13
3.8. გუდვილი	14
3.9. არამატერიალური აქტივები (გუდვილის გარდა)	15
3.10. იჯარა	15
3.11. გადასახადები	16
3.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
3.13. საწესდებო კაპიტალი	16
3.14. დივიდენდები	16
3.15. ამონაგები	17
3.16. ხარჯები	17
3.17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
3.18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	18
შენიშვნა 4: ამონაგები	18
შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება	18
შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
შენიშვნა 7: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	20
შენიშვნა 8: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	21
შენიშვნა 9: ფული და ფულის ექვივალენტები	24
შენიშვნა 10: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24
შენიშვნა 11: სასაქონლო მატერიალური მარაგები	24
შენიშვნა 12: სესხები	25
შენიშვნა 13: დაკავშირებული მხარეები	25
14. რისკების მართვა	25
14.1. ლიკვიდურობის რისკი	26
14.2. სავალუტო რისკი	26
14.3. საკრედიტო რისკი	26
15. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	27
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა	28

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს (ერთობლივად „ჯგუფი“) მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან. ასევე მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 06 ოქტომბერს და შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ვერ დავაკვირდით ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებებისა და საღარიბოში არსებული ფულადი სახსრების ფიზიკურ გადათვლას. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის, ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და საღარიბოში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 314 506 ლარის (2021: 289 482 ლარი), 21 100 197 ლარის (2021: 20 055 495 ლარი) და 0 ლარის (2021: 0 ლარი) ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხვად სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. ჩვენი მოსაზრება კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და საღარიბოში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბრის

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმოიწიოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის საადრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესაძარცვლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

გარდა ამისა ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავაკენით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დაკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებით შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებსა და ასევე, ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა არის:

ბესიკ თავაძე (სარეგისტრაციო № SARAS-A-672437)

Besik
Tavadze
33001008878

Digitally signed by
Besik Tavadze
Date: 2024.01.18
15:05:52

CONSULTING
TBILISI

შპს „თბილისი კონსალტინგი“-ს სახელით (სარეგისტრაციო № SARAS-F-291042)
18 იანვარი, 2024 წ.
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ამონაგები	4	10,746,425	8,704,279
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(274,591)	(244,388)
საერთო მოგება		10,471,834	8,459,891
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(8,329,929)	(6,132,089)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები			
სხვა შემოსულობები/(ხარალი) - წმინდა	7	(40,237)	88,359
საოპერაციო მოგება		2,101,668	2,416,162
ფინანსური შემოსავალი		31,891	830,242
ფინანსური ხარჯი		(373,101)	(314,555)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(341,210)	515,687
მოგება დაბეგრამდე		1,760,458	2,931,848
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,760,458	2,931,848
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,760,458	2,931,848



დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშენები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	21,100,197	20,055,495
არამატერიალური აქტივები		7,668	6,605
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		7,716	6,982
		21,115,581	20,069,082
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	487,952	832,204
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	3,801,403	1,347,730
საგადასახადო აქტივები		1,975,527	2,166,928
მარაგები	11	314,506	289,482
		6,579,388	4,636,344
მთლიანი აქტივები		27,694,968	24,705,426
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		10,420,812	10,420,812
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9,964,448	5,598,626
მიმდინარე მოგება/ ზარალი		1,760,458	2,931,848
		22,145,719	18,951,286
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		3,445,493	4,679,234
გადავადებული შემოსავალი		-	-
		3,445,493	4,679,234
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულება შვილობილი საწარმოს მიმართ		-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		974,979	1,027,082
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,128,777	47,824
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
		2,103,757	1,074,905
მთლიანი ვალდებულებები		5,549,250	5,754,140
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		27,694,969	24,705,426

დირექტორი:

გიორგი მელაძე

18 იანვარი 2024 წელი

თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	გაუნაწილებელი მოგება
2021 წლის 1 იანვარი		9,109,256	-	4,881,220	13,990,476
წმინდა მოგება				2,931,848	2,931,848
სხვა სრული					
შემოსავალი					-
გადაფასების რეზერვი					-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		1,311,557		717,405	2,028,962
გაცემული დივიდენდი წინა პერიოდის კორექტირებები					-
2021 წლის 31 დეკემბერი		10,420,812	-	8,530,474	18,951,286
წმინდა მოგება				1,760,458	1,760,458
სხვა სრული					
შემოსავალი					-
გადაფასების რეზერვი					-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-		1,433,974	1,433,974
გაცემული დივიდენდი წინა პერიოდის კორექტირებები					-
2022 წლის 31 დეკემბერი		10,420,812	-	11,724,906	22,145,719



დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

	შემიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		1,760,458	2,931,848
კორექტირება:			
მოგების გადასახადი			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	593,011	591,456
მარაგების კლება/(ზრდა)		(25,024)	(195,508)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,262,272)	(1,667,032)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება		1,080,954	(674,021)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		1,147,126	986,744
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,147,126	986,744
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,637,712)	(3,381,864)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,063)	(290)
ინვესტიციები		-	-
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,638,775)	(3,382,154)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		1,433,974	2,028,962
სესხები		(1,286,577)	620,840
გაცემული დივიდენდები			
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		147,397	2,649,802
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(344,252)	254,391
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		832,204	577,813
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		487,952	832,204


დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ დაფუძნდა 2012 წლის 10 აპრილს, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი - 404940695 და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40.

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ შემდეგი საწარმოს მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომელიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში: შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ დაფუძნებული 1996 წლის 20 მაისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40. საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727. 2013 წლის 28 ივნისს კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ -ს მფლობელები არიან:

მფლობელი	2022 წლის 31 დეკემბერი
გიორგი მელაძე	საქართველოს მოქალაქე 25.00%
სს ფანდ ინვესტმენტ	საქართველოში დარეგისტრირებული 75.00%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ფანდ ინვესტმენტ“-ის აქციონერები არიან:

აქციონერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ზაიქი მი	01192005128 50.00%
ქსინფუ ვანგი	01092004184 50.00%

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა: შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სფეროს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით მხარდაჭერა და განათლებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სახის საქმიანობის განხორციელება.

შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“-ს ძირითადი საქმიანობა არის - საგანმანათლებლო, გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესკული. შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“-ს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზირებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში(ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ მოთხოვნილი იქნება ვალდებულებების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

3.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახდელებისა და შეუქცევადი შესყიდვის გადასახადების ჩათვლით, ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ნივთის იმ ადგილას მიტანას და მდგომარეობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მას შეეძლოს იმუშაოს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ განზრახული წესით; (გ) ნივთის დემონტაჟის,

ამოღებისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯების შეფასება, სადაც ის მდებარეობს; (დ) ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფი წარმოიქმნება ნივთის შემენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ნივთის გამოყენების შედეგად სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოებისათვის.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან საჭიროებისამებრ აღიარებულია ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შევა ჯგუფში და აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. მცირე რემონტისა და ყოველდღიური მოვლის ხარჯები გაწევის პერიოდში იხარჯება. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია, როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება ანაზღაურებად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა:
შენობები	20-50 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	2-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სხვა	2-10 წელი

3.8. გუდვილი

გუდვილი აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი გამოიყოფა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ იმ ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოქმნიან ბენეფიტებს ბიზნესების გაერთიანების შემდეგ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს და არ აღემატება საოპერაციო სეგმენტს.

ჯგუფი ამოწმებს გუდვილს გაუფასურებაზე სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როდესაც არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურებული იყოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, რომელიც შეიცავს გუდვილს, შედარებულია ანაზღაურებად თანხასთან, რომელიც არის ყველაზე მაღალი გამოყენების

ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასხვისების ხარჯები. ნებისმიერი გაუფასურება აღიარებულია დაუყოვნებლივ, როგორც ხარჯი და შემდგომში არ უკუიკვლება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში ოპერაციების გასხვისებიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელზედაც გუდვილი იყო განაწილებული, მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია გასხვისების ოპერაციასთან, რომელიც ჩვეულებრივ იზომება გატანილი ოპერაციის ფარდობითი ღირებულებების და ფულადი სახსრების ნაწილის საფუძველზე.

3.9. არამატერიალური აქტივები (გუდვილის გარდა)

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციითა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ღირებულებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

3.10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება.

იჯარას, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლის.

3.11. გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია გადასახდელი დღგ-ისგან, ყველა ჩასათველი დღგ-ის ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე.

3.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიხედვით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელ(ებ)ის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.14. დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ჯგუფის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილებს საფუძველს განსაზღვრავს, როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

3.15. ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობითა და პირდაპირი ხელფასებით.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესრულებული სტადია განისაზღვრება სკოლის მიერ თითოეული აკადემიური კლასისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მიწოდების შესაბამისად.

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე. საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

3.16. ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად არიან დაკავშირებული იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი და იმავე პირის კონტოლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს შესაძლებლობა რომ გააკონტოლოს მეორე, აქვს მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან არის საერთო კონტროლში ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ყურადღება ექცევა ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, სადაც შესვლა არადაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებითა და მოცულობით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის. დაკავშირებულ ყველა მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

3.18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე სახის რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლო ან/და სააღსრულებლო წარმოება არ ხორციელდება.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომლებიც სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა 4: ამონაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	9,933,143	7,978,528
სახელმწიფო ვაუჩერი	403,050	388,475
წიგნების რეალიზაცია	84,849	268,826
საიჯარო შემოსავალი	269,713	40,551
სხვა შემოსავალი	55,670	27,898
სულ	10,746,425	8,704,279

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2022 ლარი	2021 ლარი
ძირითადი მასალების დანახარჯები	274,591	244,388
სულ	274,591	244,388

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 ლარი	2021 ლარი
შრომის ანაზღაურება	5,003,374	3,901,052
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	220,283	-
ოფისის ხარჯები	1,316,357	930,054
საიჯარო ქირა	58,698	50,016
ცვეთა და ამორტიზაცია	593,829	591,456
კომუნალური ხარჯი	376,173	283,346
კომუნიკაციის ხარჯები	248,614	54,980
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	127,232
საპენსიო ფონდის ხარჯი	126,590	65,561
საკონსულტაციო ხარჯი	68,120	8,745
სხვა საგადასახადო ხარჯი	289,726	10,296
ბანკის საკომისიო ხარჯი	5,703	5,133
აუდიტის ხარჯი	5,000	9,440
საწვავის ხარჯი	2,890	2,680
სხვა	14,573	92,098
სულ	8,329,929	6,132,089

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 7: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	2022 ლარი	2021 ლარი
სოლიდარული ვალდებულებით მოწვეული კურსთა შორის ეფექტი	293,957	174,759
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(16,505)	(110,887)
კონვერტაცია	22,787	3,523
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	33,955	19,004
სულ	334,194	86,399

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 8: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავდა:

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2020	500,000	-	12,219,471	8,034	203,647	3,771,351	925,169	113,719	17,741,391
შემოსვლა	-	2,646,626	-	-	131,832	727,557	3,080	-	3,509,096
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(79,022)	-	(51,487)	(130,509)
31 დეკემბერი 2021	500,000	2,646,626	12,219,471	8,034	335,480	4,419,887	928,249	62,232	21,119,978
შემოსვლა	-	1,307,327	-	-	188,789	138,836	3,320	-	1,638,271
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	(559)	-	-	-	(559)
31 დეკემბერი 2022	500,000	3,953,953	12,219,471	8,034	523,710	4,558,722	931,569	62,232	22,757,690

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2020	-	-	-	-	91,988	263,058	88,084	33,174	476,304
პერიოდის ცვლა	-	-	232,997	-	12,606	235,788	109,521	544	591,456
გასვლა	-	-	-	-	-	(2,466)	-	(811)	(3,278)
31 დეკემბერი 2021	-	-	232,997	-	104,594	496,380	197,605	32,906	1,064,483
პერიოდის ცვლა	-	-	228,590	-	17,732	241,393	105,295	-	593,011
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	461,587	-	122,327	737,773	302,900	32,906	1,657,494
31 დეკემბერი 2020	500,000	-	12,219,471	8,034	111,659	3,508,293	837,085	80,545	17,265,087
31 დეკემბერი 2021	500,000	2,646,626	11,986,473	8,034	230,885	3,923,507	730,644	29,325	20,055,495
31 დეკემბერი 2022	500,000	3,953,953	11,757,883	8,034	401,383	3,820,949	628,669	29,325	21,100,197

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვლირებულება			
1 იანვარი 2021	15,627.83	3,211.97	18,839.80
შემოსვლა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	15,627.83	3,211.97	18,839.80
შემოსვლა	290.44	-	290.44
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	15,918.27	3,211.97	19,130.24

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი 2021	9,398.00	1,960.53	11,358.53
პერიოდის ცვეთა	1,000.00	166.82	1,166.82
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	10,398.00	2,127.35	12,525.35
პერიოდის ცვეთა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	10,398.00	2,127.35	12,525.35

წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2021	6,229.83	1,251.44	7,481.27
31 დეკემბერი 2021	5,229.83	1,084.62	6,314.45
31 დეკემბერი 2022	5,520.27	1,084.62	6,604.89

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 9: ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

ფული და ფულის ექვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ეროვნული ვალუტა ბანკში	487,945.76	637,509.30
უცხოური ვალუტა ბანკში	6	194,694.78
სულ	487,952	832,204

შენიშვნა 10: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და საექვო ვალების ანარიცხები მოიცავდა:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,617,305	873,955
გადახდილი ავანსები	2,427,391	496,785
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(243,293)	(23,010)
სულ	3,801,403	1,347,730

შენიშვნა 11: სასაქონლო მატერიალური მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	2022 ლარი	2021 ლარი
წიგნები	265,428.11	252,850.94
სხვა მარაგები	49,077.60	36,630.60
სულ	314,506	289,482

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 12: სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავდა:

სესხები	2022 ლარი	2021 ლარი
100k Loan 6.50% გაცემის/დაფარვის თარიღი: 03/2021-01/2027 ვალუტა: EUR	213,422	312,977
400k Loan 8.90% გაცემის/დაფარვის თარიღი: 11/2022-11/2027 ვალუტა: EUR	568,651	-
500k Loan 8.30% გაცემის/დაფარვის თარიღი: 04/2021-09/2027 ვალუტა: EUR	1,132,988	1,642,997
1300k Loan 7.04% გაცემის/დაფარვის თარიღი: 09/2020-09/2026 ვალუტა: EUR	2,505,413	3,750,342
სულ	4,420,473	5,706,316

შენიშვნა 13: დაკავშირებული მხარეები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის დაკავშირებული მხარეების ოპერაციები მოიცავდა შენიშვნა 12: წარმოდგენილ სესხებს როგორც სოლიდარულ ვალდებულებას ბანკის მიმართ სესხები გადაეცა კომპანიას ხოლო მოხმარდა შვილობილი საწარმოს ოპერაციებს.

ასევე შენიშვნა 8 წარმოდგენილ ძირითად საშუალებებს

	გადასახდელები		პროცენტი		ძირი	
	2022	2021	2022	2021	2022	2021
1 წელზე						
ნაკლები	1,277,820	1,344,838	302,840	317,757	974,979	1,027,082
1-დან 5 წლამდე	3,888,971	5,292,459	443,477	743,770	3,445,493	4,548,689
5 წელზე მეტი	-	132,740	-	2,195	-	130,545
ჯამი	5,166,790	6,770,038	746,318	1,063,722	4,420,473	5,706,316

14. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

14.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

14.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

14.3. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკის ალბათობა, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს ვადაგადაცილების 3 დონე.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხის შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზიანის მნიშვნელოვანი რისკი, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

საანგარიშგებო პერიოდში შემდეგ რეზერვებს ჰქონდა ადგილი:

საეჭვო ვალების ანარიცხი	2022 ლარი	2021 ლარი
365-545 დღე 15% რეზერვი	65,457	23,010.16
545-910 დღე 50% რეზერვი	24,435	-
>910 დღე 100% რეზერვი	153,401	-
სულ	243,293	23,010

15. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 18 იანვარს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ დაფუძნდა 2012 წლის 10 აპრილს, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი - 404940695 და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40.

კომპანიის 75%-ით დამფუძნებელია სს „ფანდ ინვესტმენტ“ (ს/ნ 404418117), ხოლო 25%-ით დამფუძნებელია ფიზიკური პირი გიორგი მელაძე (პ/ნ 01007008494).

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სფეროს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით მხარდაჭერა და განათლებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სახის საქმიანობის განხორციელება.

2013 წლის 28 ივნისს შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“-ს 100%-იანი წილის მფლობელი გახდა.

2017 წელს სახელმწიფოსაგან ქ.თბილისში შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაიწყო შენობა-ნაგებობისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს გადასცა შვილობილ საწარმოს შპს „ნიუტონის თავისუფალ სკოლა“-ს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა. შვილობილი საწარმოს გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესკული. საწარმოს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზირებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

წინა წლებთან მიმართებაში ტენდენციურად იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა.

სკოლა ბაზარზე იკავებს კონკურენტუნარიან და მნიშვნელოვან პოზიციას. საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში კონკურენციის გაწვევის საშუალებას იძლევა.

ჯგუფის მისიაა შექმნას სწავლებისათვის სასიამოვნო და კომფორტული გარემო, მოსწავლეები აღჭურვოს მათი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის აუცილებელი ყველა საჭირო უნარი და ცოდნით, შეუქმნას მათ სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად, რათა მათ წარმატებას მიაღწიონ და ეფექტურად ადაპტირდნენ მუდმივად განვითარებად გლობალურ სამყაროში.

სკოლაში მიღებული განათლება თითოეული მოსწავლისთვის მომავალი წარმატების საფუძველია. მუდმივად განახლებად მაღალ-ტექნოლოგიურ საუკუნეში საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით საკლასო ოთახებსა და ინტერნეტსივრცეში სწავლებისა და სწავლის პროცესის წასახალისებლად. სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის გაცილებით ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება ჯგუფის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყევების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, ჯგუფის ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

მოთხოვნა ჯგუფის მომსახურებაზე, ისევე როგორც ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და მის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური. ჯგუფის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს

- კონკურენცია;
- რესურსების განვითარების შეფერხება;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება.
- ფორსმაჟორული სიტუაციები.

აღნიშნული რისკების მართვისას ჯგუფი იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

კონკურენციის რისკის მართვისას აქცენტი კეთდება საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებზე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე;

რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვა ხორციელდება კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას ჯგუფი უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

ამდენად ჯგუფს მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.

ჯგუფი აგრეთვე აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალურ თუ საქველმოქმედო აქტივობებში. იქნება ეს როგორც სოციალური, ასევე საგანმანათლებლო, სპორტული თუ ეკოლოგიური თემატიკის.

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“



დირექტორი:

გიორგი მელაძე

18 იანვარი 2024 წელი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება 2022
წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება

„განათლების
განვითარების ჯგუფი“

შპს „თბილისი კონსალტინგი“

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი საქმიანობა.....	11
2. მნიშვნელოვანი ზუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	12
3. ზუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა.....	12
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები	12
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი.....	12
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.....	13
3.5. ანარიცხები	13
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	13
3.7. ძირითადი საშუალებები.....	13
3.8. გუდვილი.....	14
3.9. არამატერიალური აქტივები (გუდვილის გარდა).....	15
3.10. იჯარა	15
3.11. გადასახადები	16
3.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
3.13. საწესდებო კაპიტალი	16
3.14. დივიდენდები.....	16
3.15. ამონაგები.....	17
3.16. ხარჯები	17
3.17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
3.18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები.....	18
შენიშვნა 4: ამონაგები.....	18
შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება	18
შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	19
შენიშვნა 7: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა.....	20
შენიშვნა 8: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	21
შენიშვნა 9: ფული და ფულის ექვივალენტები.....	24
შენიშვნა 10: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	24
შენიშვნა 11: სასაქონლო მატერიალური მარაგები	24
შენიშვნა 12: სესხები.....	25
შენიშვნა 13: დაკავშირებული მხარეები	25
14. რისკების მართვა.....	25
14.1. ლიკვიდურობის რისკი	26
14.2. სავალუტო რისკი.....	26
14.3. საკრედიტო რისკი.....	26
15. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	27
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	27
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს (ერთობლივად „ჯგუფი“) მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან. ასევე მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 06 ოქტომბერს და შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ვერ დავაკვირდით ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ფიზიკურ გადათვლას. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების რაოდენობებისა და სახეობრივი შემადგენლობის, ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 314 506 ლარის (2021: 289 482 ლარი), 21 100 197 ლარის (2021: 20 055 495 ლარი) და 0 ლარის (2021: 0 ლარი) ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. ჩვენი მოსაზრება კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან, ძირითად საშუალებებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოდებული ოპერაციების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის საადრიცხო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესადარებლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

გარდა ამისა ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეყრდნობოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავაკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დაკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებით შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებსა და ასევე, ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა არის:

ბესიკ თავაძე (სარეგისტრაციო № SARAS-A-672437)



შპს „თბილისი კონსალტინგი“-ს სახელით (სარეგისტრაციო № SARAS-F-291042)

18 იანვარი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ამონაგები	4	10,746,425	8,704,279
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(274,591)	(244,388)
საერთო მოგება		10,471,834	8,459,891
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(8,329,929)	(6,132,089)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები			
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	7	(40,237)	88,359
საოპერაციო მოგება		2,101,668	2,416,162
ფინანსური შემოსავალი		31,891	830,242
ფინანსური ხარჯი		(373,101)	(314,555)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(341,210)	515,687
მოგება დაბეგვრამდე		1,760,458	2,931,848
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,760,458	2,931,848
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,760,458	2,931,848

დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	21,100,197	20,055,495
არამატერიალური აქტივები		7,668	6,605
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		7,716	6,982
		21,115,581	20,069,082
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	9	487,952	832,204
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10	3,801,403	1,347,730
საგადასახადო აქტივები		1,975,527	2,166,928
მარაგები	11	314,506	289,482
		6,579,388	4,636,344
მთლიანი აქტივები		27,694,968	24,705,426
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		10,420,812	10,420,812
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9,964,448	5,598,626
მიმდინარე მოგება/ ზარალი		1,760,458	2,931,848
		22,145,719	18,951,286
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		3,445,493	4,679,234
გადავადებული შემოსავალი		-	-
		3,445,493	4,679,234
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულება შვილობილი საწარმოს მიმართ		-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		974,979	1,027,082
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,128,777	47,824
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
		2,103,757	1,074,905
მთლიანი ვალდებულებები		5,549,250	5,754,140
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		27,694,969	24,705,426

დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	გაუნაწილებელი მოგება
2021 წლის 1 იანვარი		9,109,256	-	4,881,220	13,990,476
წმინდა მოგება				2,931,848	2,931,848
სხვა სრული					
შემოსავალი					-
გადაფასების რეზერვი					-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		1,311,557		717,405	2,028,962
გაცემული დივიდენდი წინა პერიოდის					-
კორექტირებები					-
2021 წლის 31 დეკემბერი		10,420,812	-	8,530,474	18,951,286
წმინდა მოგება				1,760,458	1,760,458
სხვა სრული					
შემოსავალი					-
გადაფასების რეზერვი					-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-		1,433,974	1,433,974
გაცემული დივიდენდი წინა პერიოდის					-
კორექტირებები					-
2022 წლის 31 დეკემბერი		10,420,812	-	11,724,906	22,145,719

დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

	შემიშვნები	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		1,760,458	2,931,848
კორექტირება:			
მოგების გადასახადი			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	593,011	591,456
მარაგების კლება/(ზრდა)		(25,024)	(195,508)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,262,272)	(1,667,032)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება		1,080,954	(674,021)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		1,147,126	986,744
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,147,126	986,744
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,637,712)	(3,381,864)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,063)	(290)
ინვესტიციები		-	
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,638,775)	(3,382,154)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		1,433,974	2,028,962
სესხები		(1,286,577)	620,840
გაცემული დივიდენდები			
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		147,397	2,649,802
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(344,252)	254,391
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		832,204	577,813
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		487,952	832,204

დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ დაფუძნდა 2012 წლის 10 აპრილს, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი - 404940695 და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40.

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ შემდეგი საწარმოს მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომელიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში: შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ დაფუძნებული 1996 წლის 20 მაისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40. საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727. 2013 წლის 28 ივნისს კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ -ს მფლობელები არიან:

მფლობელი		2022 წლის 31 დეკემბერი
გიორგი მელაძე	საქართველოს მოქალაქე	25.00%
სს ფანდ ინვესტმენტ	საქართველოში დარეგისტრირებული	75.00%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ფანდ ინვესტმენტ“-ის აქციონერები არიან:

აქციონერი		2022 წლის 31 დეკემბერი
ზაიქი მი	01192005128	50.00%
ქსინფუ ვანგი	01092004184	50.00%

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა: შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სფეროს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით მხარდაჭერა და განათლებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სახის საქმიანობის განხორციელება.

შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ -ს ძირითადი საქმიანობა არის - საგანმანათლებლო, გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესქული. შპს „ნიუტონის თავისუფალ სკოლა“-ს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზირებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში(ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ მოთხოვნილი იქნება ვალდებულებების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

3.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახდელებისა და შეუქცევადი შესყიდვის გადასახადების ჩათვლით, ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ნივთის იმ ადგილას მიტანას და მდგომარეობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მას შეეძლოს იმუშაოს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ განზრახული წესით; (გ) ნივთის დემონტაჟის,

ამოღებისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯების შეფასება, სადაც ის მდებარეობს; (დ) ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფი წარმოიქმნება ნივთის შემენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ნივთის გამოყენების შედეგად სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოებისათვის.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან საჭიროებისამებრ აღიარებულია ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შეეჯგუფება და აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. მცირე რემონტისა და ყოველდღიური მოვლის ხარჯები გაწევის პერიოდში იხარჯება. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია, როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება ანაზღაურებად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა:
შენობები	20-50 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	2-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სხვა	2-10 წელი

3.8. გუდვილი

გუდვილი აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი გამოიყოფა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ იმ ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოქმნიან ბენეფიტებს ბიზნესების გაერთიანების შემდეგ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს და არ აღემატება საოპერაციო სეგმენტს.

ჯგუფი ამოწმებს გუდვილს გაუფასურებაზე სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როდესაც არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურებული იყოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, რომელიც შეიცავს გუდვილს, შედარებულია ანაზღაურებად თანხასთან, რომელიც არის ყველაზე მაღალი გამოყენების

ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასხვისების ხარჯები. ნებისმიერი გაუფასურება აღიარებულია დაუყოვნებლივ, როგორც ხარჯი და შემდგომში არ უკუიცვლება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში ოპერაციების გასხვისებიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელზედაც გუდვილი იყო განაწილებული, მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია გასხვისების ოპერაციასთან, რომელიც ჩვეულებრივ იზომება გატანილი ოპერაციის ფარდობითი ღირებულებების და ფულადი სახსრების ნაწილის საფუძველზე.

3.9. არამატერიალური აქტივები (გუდვილის გარდა)

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციითა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ღირებულებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

3.10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება.

იჯარას, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლის.

3.11. გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია გადასახდელი დღგ-ისგან, ყველა ჩასათველი დღგ-ის ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე.

3.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიხედვით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელ(ებ)ის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.14. დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ჯგუფის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილებს საფუძველს განსაზღვრავს, როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

3.15. ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობითა და პირდაპირი ხელფასებით.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესრულებული სტადია განისაზღვრება სკოლის მიერ თითოეული აკადემიური კლასისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მიწოდების შესაბამისად.

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე. საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

3.16. ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად არიან დაკავშირებული იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი და იმავე პირის კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს შესაძლებლობა რომ გააკონტროლოს მეორე, აქვს მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან არის საერთო კონტროლში ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ყურადღება ექცევა ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, სადაც შესვლა არადაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებითა და მოცულობით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის. დაკავშირებულ ყველა მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

3.18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე სახის რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლო ან/და სააღსრულებლო წარმოება არ ხორციელდება.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომლებიც სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა 4: ამონაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2022 ლარი	2021 ლარი
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	9,933,143	7,978,528
სახელმწიფო ვაუჩერი	403,050	388,475
წიგნების რეალიზაცია	84,849	268,826
საიჯარო შემოსავალი	269,713	40,551
სხვა შემოსავალი	55,670	27,898
სულ	10,746,425	8,704,279

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2022 ლარი	2021 ლარი
ძირითადი მასალების დანახარჯები	274,591	244,388
სულ	274,591	244,388

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 ლარი	2021 ლარი
შრომის ანაზღაურება	5,003,374	3,901,052
საექვო ვალების რეზერვის ხარჯი	220,283	-
ოფისის ხარჯები	1,316,357	930,054
საიჯარო ქირა	58,698	50,016
ცვეთა და ამორტიზაცია	593,829	591,456
კომუნალური ხარჯი	376,173	283,346
კომუნიკაციის ხარჯები	248,614	54,980
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	127,232
საპენსიო ფონდის ხარჯი	126,590	65,561
საკონსულტაციო ხარჯი	68,120	8,745
სხვა საგადასახადო ხარჯი	289,726	10,296
ბანკის საკომისიო ხარჯი	5,703	5,133
აუდიტის ხარჯი	5,000	9,440
საწვავის ხარჯი	2,890	2,680
სხვა	14,573	92,098
სულ	8,329,929	6,132,089

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 7: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	2022 ლარი	2021 ლარი
სოლიდარული ვალდებულებით მოწვეული კურსთა შორის ეფექტი	293,957	174,759
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(16,505)	(110,887)
კონვერტაცია	22,787	3,523
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	33,955	19,004
სულ	334,194	86,399

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 8: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავდა:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2020	500,000	-	12,219,471	8,034	203,647	3,771,351	925,169	113,719	17,741,391
შემოსვლა	-	2,646,626	-	-	131,832	727,557	3,080	-	3,509,096
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(79,022)	-	(51,487)	(130,509)
31 დეკემბერი 2021	500,000	2,646,626	12,219,471	8,034	335,480	4,419,887	928,249	62,232	21,119,978
შემოსვლა	-	1,307,327	-	-	188,789	138,836	3,320	-	1,638,271
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	(559)	-	-	-	(559)
31 დეკემბერი 2022	500,000	3,953,953	12,219,471	8,034	523,710	4,558,722	931,569	62,232	22,757,690

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობა	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2020	-	-	-	-	91,988	263,058	88,084	33,174	476,304
პერიოდის ცვეთა	-	-	232,997	-	12,606	235,788	109,521	544	591,456
გასვლა	-	-	-	-	-	(2,466)	-	(811)	(3,278)
31 დეკემბერი 2021	-	-	232,997	-	104,594	496,380	197,605	32,906	1,064,483
პერიოდის ცვეთა	-	-	228,590	-	17,732	241,393	105,295	-	593,011
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	461,587	-	122,327	737,773	302,900	32,906	1,657,494
31 დეკემბერი 2020	500,000	-	12,219,471	8,034	111,659	3,508,293	837,085	80,545	17,265,087
31 დეკემბერი 2021	500,000	2,646,626	11,986,473	8,034	230,885	3,923,507	730,644	29,325	20,055,495
31 დეკემბერი 2022	500,000	3,953,953	11,757,883	8,034	401,383	3,820,949	628,669	29,325	21,100,197

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვლირებულება			
1 იანვარი 2021	15,627.83	3,211.97	18,839.80
შემოსვლა	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	15,627.83	3,211.97	18,839.80
შემოსვლა	290.44	-	290.44
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	15,918.27	3,211.97	19,130.24

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი 2021	9,398.00	1,960.53	11,358.53
პერიოდის ცვეთა	1,000.00	166.82	1,166.82
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	10,398.00	2,127.35	12,525.35
პერიოდის ცვეთა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	10,398.00	2,127.35	12,525.35

წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2021	6,229.83	1,251.44	7,481.27
31 დეკემბერი 2021	5,229.83	1,084.62	6,314.45
31 დეკემბერი 2022	5,520.27	1,084.62	6,604.89

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 9: ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

ფული და ფულის ექვივალენტები	2022 ლარი	2021 ლარი
ეროვნული ვალუტა ბანკში	487,945.76	637,509.30
უცხოური ვალუტა ბანკში	6	194,694.78
სულ	487,952	832,204

შენიშვნა 10: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და საექვო ვალების ანარიცხები მოიცავდა:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,617,305	873,955
გადახდილი ავანსები	2,427,391	496,785
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(243,293)	(23,010)
სულ	3,801,403	1,347,730

შენიშვნა 11: სასაქონლო მატერიალური მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	2022 ლარი	2021 ლარი
წიგნები	265,428.11	252,850.94
სხვა მარაგები	49,077.60	36,630.60
სულ	314,506	289,482

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 12: სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავდა:

სესხები	2022 ლარი	2021 ლარი
100k Loan 6.50% გაცემის/დაფარვის თარიღი: 03/2021-01/2027 ვალუტა: EUR	213,422	312,977
400k Loan 8.90% გაცემის/დაფარვის თარიღი: 11/2022-11/2027 ვალუტა: EUR	568,651	-
500k Loan 8.30% გაცემის/დაფარვის თარიღი: 04/2021-09/2027 ვალუტა: EUR	1,132,988	1,642,997
1300k Loan 7.04% გაცემის/დაფარვის თარიღი: 09/2020-09/2026 ვალუტა: EUR	2,505,413	3,750,342
სულ	4,420,473	5,706,316

შენიშვნა 13: დაკავშირებული მხარეები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის დაკავშირებული მხარეების ოპერაციები მოიცავდა შენიშვნა 12: წარმოდგენილ სესხებს როგორც სოლიდარულ ვალდებულებას ბანკის მიმართ სესხები გადაეცა კომპანიას ხოლო მოხმარდა შვილობილი საწარმოს ოპერაციებს.

ასევე შენიშვნა 8 წარმოდგენილ ძირითად საშუალებებს

	გადასახდელები		პროცენტი		ძირი	
	2022	2021	2022	2021	2022	2021
1 წელზე ნაკლები	1,277,820	1,344,838	302,840	317,757	974,979	1,027,082
1-დან 5 წლამდე	3,888,971	5,292,459	443,477	743,770	3,445,493	4,548,689
5 წელზე მეტი	-	132,740	-	2,195	-	130,545
ჯამი	5,166,790	6,770,038	746,318	1,063,722	4,420,473	5,706,316

14. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

14.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

14.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

14.3. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკის ალბათობა, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს ვადაგადაცილების 3 დონე.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხის შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზიანის მნიშვნელოვანი რისკი, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

საანგარიშგებო პერიოდში შემდეგ რეზერვებს ჰქონდა ადგილი:

საეჭვო ვალების ანარიცხი	2022 ლარი	2021 ლარი
365-545 დღე 15% რეზერვი	65,457	23,010.16
545-910 დღე 50% რეზერვი	24,435	-
>910 დღე 100% რეზერვი	153,401	-
სულ	243,293	23,010

15. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 18 იანვარს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და 2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ დაფუძნდა 2012 წლის 10 აპრილს, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი - 404940695 და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40.

კომპანიის 75%-ით დამფუძნებელია სს „ფანდ ინვესტმენტ“ (ს/ნ 404418117), ხოლო 25%-ით დამფუძნებელია ფიზიკური პირი გიორგი მელაძე (პ/ნ 01007008494).

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სფეროს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით მხარდაჭერა და განათლებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სახის საქმიანობის განხორციელება.

2013 წლის 28 ივნისს შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“-ს 100%-იანი წილის მფლობელი გახდა.

2017 წელს სახელმწიფოსაგან ქ.თბილისში შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაიწყო შენობა-ნაგებობისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის გადასცა შვილობილ საწარმოს შპს „ნიუტონის თავისუფალ სკოლა“-ს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა. შვილობილი საწარმოს გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესკული. საწარმოს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზირებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

წინა წლებთან მიმართებაში ტენდენციურად იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა.

სკოლა ბაზარზე იკავებს კონკურენტუნარიან და მნიშვნელოვან პოზიციას. საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში კონკურენციის გაწევის საშუალებას იძლევა.

ჯგუფის მისიაა შექმნას სწავლებისათვის სასიამოვნო და კომფორტული გარემო, მოსწავლეები აღჭურვოს მათი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის აუცილებელი ყველა საჭირო უნარითა და ცოდნით, შეუქმნას მათ სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად, რათა მათ წარმატებას მიაღწიონ და ეფექტურად ადაპტირდნენ მუდმივად განვითარებად გლობალურ სამყაროში.

სკოლაში მიღებული განათლება თითოეული მოსწავლისთვის მომავალი წარმატების საფუძველია. მუდმივად განახლებად მაღალ-ტექნოლოგიურ საუკუნეში საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით საკლასო ოთახებსა და ინტერნეტსივრცეში სწავლებისა და სწავლის პროცესის წასახალისებლად. სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის გაცილებით ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება ჯგუფის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყევების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, ჯგუფის ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

მოთხოვნა ჯგუფის მომსახურებაზე, ისევე როგორც ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და მის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური. ჯგუფის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს

- კონკურენცია;
- რესურსების განვითარების შეფერხება;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება.
- ფორსმაჟორული სიტუაციები.

აღნიშნული რისკების მართვისას ჯგუფი იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

კონკურენციის რისკის მართვისას აქცენტი კეთდება საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებზე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე;

რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვა ხორციელდება კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას ჯგუფი უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

ამდენად ჯგუფს მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.

ჯგუფი აგრეთვე აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალურ თუ საქველმოქმედო აქტივობებში. იქნება ეს როგორც სოციალური, ასევე საგანმანათლებლო, სპორტული თუ ეკოლოგიური თემატიკის.

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“

დირექტორი:
გიორგი მელაძე
18 იანვარი 2024 წელი
თბილისი, საქართველო